ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა

ქ. თბილისი ... 31.03. 2016 წ.

შ.პ.ს. „მაგთიკომი" №14 ოფისი წარმოდგენილი მისი ოფისის ზედამხედველის მოვალეობის შემსრულებლის თამარ ცივაძის სახით, შემდგომში *გამყიდველი*, ერთის მხრივ, და ა(ა)იპ " ოზურგეთის მუნიციპალიტის ა(ა)იპ ცენტრალური ბიბლიოთეკა " საიდ. 437063053 წარმოდგენილი მისი დირექტორის ლიანა ბაქანიძე სახით, შემდგომში – *მყიდველი*, მეორეს მხრივ ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია შემსყიდველის სახსრებით 100 ლარის მობილური სატელეფონო მომსახურების შესყიდვა (მონო ბარათების საშუალებით).

1.2 მომსახურების შესყიდვა შესაძლებელია მოხდეს ეტაპობრივად, *გამყიდველის* ანგარიშზე ჩარიცხული თანხების პროპორციულად.

2. მხარეთა ვალდებულებანი

2.1 *მყიდველი* ვალდებულია:

2.1.1 გადაუხადოს *გამყიდველს* მომსახურების ღირებულება, ხელშეკრულების მე-3 მუხლის შესაბამისად;

2.1.2 დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

2.2 *გამყიდველი* ვალდებულია:

2.2.1 ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის დადასტურების შემდეგ, გაუწიოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება

2.2.2 დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა

3. ფასი და ანგარიშსწორება

3.1 ანგარიშსწორება წარმოებს ნაღდი ან უნაღდო ანგარიშწორების ფორმით;

3.2 *მყიდველს* უფლება აქვს ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში 1.1. პუნქტში აღნიშნული თანხის ანგარიშსწორება *გამყიდველთან* მოახდინოს ნაწილობრივ.

3.3 გამყიდველი ვალდებულია მოთხოვნის შემთხვევაში მიაწოდოს მყიდველს საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვამდე.

4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2016 წლის 31 დეკემბრამდე.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა

მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

6. ფორს-მაჟორი

6.1 მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობის შემთხვევაში (როგორიცაა სტიქიური უბედურება, მიწისძვრა, სამხედრო მოქმედებები და დაუძლეველი ძალის მქონე მხარეთაგან დამოუკიდებელი სხვა გარემოებები), რომლებიც მთლიანად შეუძლებელს ხდიან ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

6.2 მხარეები ვალდებულნი არიან დაუყოვნებლივ აცნობონ ერთმანეთს ასეთი გარემოებების არსებობის შესახებ.

7. სადავო საკითხების გადაწყვეტა

წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე სადავო საკითხები წყდება მოლაპარაკების გზით, ხოლო შეთანხმების მიუღწეველობის შემთხვევაში დავა წყდება სასამართლოში, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8. დასკვნითი დებულებები

8.1 წინამდებარე ხელშეკრულება სრულიად ადასტურებს მხარეთა კონსენსუსს და არანაირი ზეპირი ცვლილება ან დამატება არ განიხილება, როგორც ამ ხელშეკრულების შემადგენელი ნაწილი;

8.2 ხელშეკრულებაში შესაძლებელია შეტანილი იქნას ცვლილებები, რომელიც გაფორმებული უნდა იყოს წერილობითი ფორმით და დამოწმებული ორივე მხარის მიერ.

8.3 ხელშეკრულება შედგენილია ორ პირად, ერთი პირი გადაეცემა გამყიდველს და ერთი პირი მყიდველს. ორივე პირს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.

გამყიდველი:	მყიდველი:
იურიდიული მისამართი	**იურიდიული მისამართი**
ქ. თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას ქ. №7	
საბანკო რეკვიზიტები:	**საბანკო რეკვიზიტები:**
ს.ს. "ვითიბი ბანკი"	ს.ს.
ცენტრალური ფილიალი	
ა/ა GE73VT6600000000423607	ა/ა:
კოდი: UGEBGE22	კოდი:
საიდენტ. კოდი: 204876606	საიდენტ. კოდი: 437063053
თამარ ცივაძე	ლიანა ბაქანიძე
ოფისის ზედამხედველი	დირექტორი